



წმინდა სინოდმა მოუწოდა საერთაშორისო საზოგადოებას, ხმა აიმაღლოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დევნიდან დასაცავად.



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 03.16.2023. 2023 წელს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის პირველ სხდომაზე, რომელსაც უწმინდესი პატრიარქი კირილე ხელმძღვანელობდა, მოხსენებით გამოვიდა ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი, საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე. მეუფემ ილაპარაკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხდომაზე თავისი გამოსვლის შესახებ .

სსკგ-ის თავმჯდომარე გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა 2023 წლის 17 იანვარს დისტანციურ ფორმატში.

თავის **გამოსვლაში** მან ჩამოაყალიბა უკრაინაში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეთა უფლებების შეზღუდვის ძირითადი ფაქტები: უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებისთვის ე.წ. სანქციების დანესების და უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ არაკონსტიტუციური გადაწყვეტილებების მიღება; უკრაინის სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული მასობრივი ჩხრეკა ეპარქიების ადმინისტრაციებში, მონასტრებსა და სამრევლოებში; უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმიანობის აკრძალვის შესახებ კანონპროექტების უმაღლეს რადაში რეგისტრაცია; **უმე-სთვის კიევ-პეჩერის საკათედრო ტაძრებით სარგებლობის უფლების ჩამორთმევა** და ტაძრების რეიდერული მიტაცებების გახშირებული შემთხვევები; ცილისმწამებლური საინფორმაციო კამპანია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია მის მორწმუნეებზე ძალადობის მოზღვაება, ხოლო მის ტაძრებში ხანძრისა და ვანდალიზმის მრავალი შემთხვევა, ასევე სასულიერო პირების ცემა და მკვლელობის მცდელობა. მიტროპოლიტმა იოანემ გაეროს უშიშროების საბჭოს წევრების ყურადღება მიაპყრო უკრაინის სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ქვეყნის უმსხვილესი კონფესიის მიმართ ფუნდამენტური უფლებების საერთაშორისო დოკუმენტების, ასევე უკრაინის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის უხეში დარღვევის ფაქტებს.

სსკგ-ის თავმჯდომარის მოხსენების მოსმენის შემდეგ, წმიდა სინოდმა მწუხარებით აღნიშნა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეების დევნის გაძლიერების ფაქტი და მოუწოდა საერთაშორისო საზოგადოებას, ხმა აიმაღლოს მის დასაცავად (**ყურნალი №13**).